საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

[redacted]

KA000084598278325

[redacted]

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ პაატა სალიას

რეკომენდაცია

მსჯავრდებულ [redacted] მიმართ დამატებით სამედიცინო მომსახურების გაწევის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო პაატა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს სპეციალური პენიტენციური სამსახურის [redacted] დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, [redacted] საქმეს, მის მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურების თაობაზე. მოცემული საქმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მიუხედავად [redacted] მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურებისა, ამ დროისთვის, კვლავ დაუდგენელია ზუსტი სამედიცინო დიაგნოზი და საჭიროა სამედიცინო მომსახურების ჩატარება.

მსჯავრდებულ [redacted] ჯანმრთელობის მდგომარეობა

სახალხო დამცველის აპარატს მიმართა მსჯავრდებულმა [redacted] რომელიც აცხადებდა, რომ ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, კერძოდ, აწუხებდა კისრის და თავის ძლიერი ტკივილები, რის თაობაზეც ჩატარებული ჰქონდა სხვადასხვა გამოკვლევები, თუმცა ტკივილის გამომწვევი მიზეზები ვერ აღმოაჩინეს.[1]

მსჯავრდებულის განმარტებით, არასათანადო მკურნალობის გამო, მისი ჯანმრთელობა სულ უფრო უარესდებოდა, ითხოვდა დამატებით მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიული კვლევის ჩატარებას და პროტესტის ნიშნად, გამოცხადებული ჰქონდა შიმშილობა, რის თაობაზეც ითხოვდა დახმარებას.

სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტიდან გამოითხოვა მსჯავრდებულ [redacted] მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ

ინფორმაცია.[2]

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, [redacted] ჩატარებული ჰქონდა ხერხემლის სვეტის კომპიუტერული ტომოგრაფია. დიაგნოზი: სპონდილოზი C5, C6, L3, L4 დისკოპათია. ხოლო, დამატებითი კვლევის საჭიროება და მათ შორის, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიის ჩატარების შესახებ, ექიმი ნევროლოგის მიერ რეკომენდაცია არ იყო გაცემული.[3]

აღნიშნული გარემოების შესახებ ეცნობა [redacted] რის შემდეგაც სახალხო დამცველის რწმუნებული ისევ შეხვდა მსჯავრდებულს, მისი ხელახალი მომართვის საფუძველზე. მსჯავრდებულმა კვლავ აღნიშნა ჯანმრთელობის მდგომაროების დამძიმება და ითხოვდა დახმარებას.[4]

შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტიდან გამოითხოვა მსჯავრდებულ [redacted] სამედიცინო დოკუმენტები სრული სახით.[5]

სამედიცინო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტები,[6] შესწავლილ იქნა სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ექიმის, მედიცინის დოქტორის - [redacted] მიერ.

მსჯავრდებულ [redacted] სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ირკვევა შემდეგი:

- [redacted] 2023 წლის ზაფხულიდან აწუხებს ტკივილი - კისრის, კეფის და ზედა ყბის არეში. სხვადასხვა დროს, ჩატარებული აქვს თავის ტვინის და ხერხემლის სვეტის კომპიუტერულ ტომოგრაფიული, რენტგენოლოგიური, ულტრასონოგრაფიული და სხვა დიაგნოსტიკური კვლევები; ექიმ-სპეციალისტების მიერ, სხვადასხვა პერიოდში ჩაუტარდა კონსულტაციები, მათ შორის: ნევროლოგის, ყბა-სახის ქირურგის, სტომატოლოგის მიერ. ექიმების კონსულტაციების საფუძველზე, დანიშნული ჰქონდა მკურნალობის კურსი, თუმცა, მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, პაციენტის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა;
- 2024 წლის 20 ნოემბერს პაციენტს ჩაუტარდა მთლიანი ხერხემლის სვეტის კომპიუტერული ტომოგრაფია. არსებული კვლევით გამოვლინდა სპონდილოზი, L5-საკრალიზაცია. მსუბუქი მარცხენამხრივი ლუმბალური სქოლიოზი. გარდამავალი ლუმბო-საკრალური მალა (castellvi type Illa), ყვითელი იოგების ფრაგმენტული ჰიპერტროფია. ჩამკეტი ფირფიტების დეფორმაცია/დეგენერაცია. C5, C6 დისკების დორსო-ცენტრალური პროტრუზია. L3, L4 დისკების ცირკულარული პროტრუზია, მარჯვენამხრივი ფორამინალური სიჭარბით. ნევრალური არხების არათანაბარი დავიწროება;
- **მიუხედავად იმისა, რომ პაციენტს კვლავ აწუხებდა კისრის და თავის ტკივილი, ნევროლოგმა 28.11.2024 და 03.02.2025 ჩატარებული კონსულტაციების შედეგად, საჭიროდ არ ჩათვალა დამატებითი კვლევის ან კონსერვატიული მკურნალობის დანიშვნა.**

სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ექიმის მოსაზრებით, კისრისა და თავის ტკივილი, რაზეც მიუთითებს პაციენტი [redacted], შესაძლებელია განპირობებული იყოს კომპიუტერულ ტომოგრაფიული კვლევით გამოვლენილი ცვლილებებით კისრის მალებში. ხოლო, ხერხემლის სვეტის კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევის შედეგების დასაზუსტებლად, სასურველია გაგრძელდეს [redacted] მიმართ დიაგნოსტიკური კვლევა, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას უფრო ინფორმატიული კვლევის მეთოდი, კერძოდ, ხერხემლის სვეტის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, რომელიც საშუალებას იძლევა, შეფასდეს არა მარტო ხერხემლის მალების სტრუქტურული მდგომარეობა და პროტრუზიის არსებობა, არამედ ზუსტად დადგინდეს ინტერვერტებერალური დისკის ცვლილებები, მაგალითად, ანთება, შეშუპება ან ნერვული ფესვების კომპრესია. ასევე, საჭიროა დაიგეგმოს ნეიროქირურგის კონსულტაცია.

ამრიგად, წარმოდგენილი და შესწავლილი სამედიცინო დოკუმენტების მიხედვით, სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ექიმის მოსაზრებით, ***„მიზანშეწონილია,*** [redacted] ***გაეწიოს სამედიცინო მომსახურება*** **- ხერხემლის სვეტის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიული კვლევა და** ***ნეოროქირურგის კონსლუტაცია, შემჭიდროვებულ ვადაში“.***

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოქალაქეს უფლება აქვს ისარგებლოს ხელმისაწვდომი და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით.[7] სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხს, არეგულირებს ფარმაცევტულ წარმოებას და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევას.[8]

პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები ეფუძნება ადამიანის ღირსებისა და მის მიმართ ჰუმანური მოპყრობის პრინციპებს, რითაც ხაზს უსვამს პატიმრის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებაში არსებული ექვივალენტური ჯანდაცვის სისტემით. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა იმ მომსახურებაზე, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაშია დანერგილი.[9]

ციხეებში ჯანდაცვის პოლიტიკა უნდა იყოს ინტეგრირებული და ითავსებდეს ეროვნული ჯანდაცვის პოლიტიკას. პატიმრებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის სამსახურზე, მათი სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. ყველა საჭირო სამედიცინო,

ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურება, მათ შორის ისეთიც, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფარგლებში ტარდება, უნდა გაეწიოს პატიმრებს.[10]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირი სათანადო სამედიცინო მომსახურებით. თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის სამედიცინო მომსახურების არარსებობა შეიძლება გახდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მიზეზი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად განიხილავს საქმეებს, რომლებიც ეხება თავისუფლებააღკვეთილი პირების სათანადო მკურნალობის არარსებობას წამებისა და არასათანადო მოპყრობის ჭრილში.[11]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ იმისთვის, რომ ადამიანის პატიმრობაში ყოფნა არ გაუტოლდეს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მინიმალურ ზღვარს და არ იმყოფებოდეს წამების, არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის პირობებში, სამედიცინო პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველმხრივი თერაპიული სტრატეგიით, რომელიც მიმართულია და ადეკვატურად აგვარებს პატიმრის ჯანმრთელობის პრობლემებს ან აღკვეთს მათ გაუარესებას, იმის ნაცვლად, რომ მათზე სიმპტომურად რეაგირებდეს.[12]

ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.[13] მათი ჯანმრთელობის დაცვა, ასევე, გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას მათი სიცოცხლის დაცვისთვის აუცილებელი და ადეკვატური სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის შესახებ.[14]

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო აღნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურების „ადეკვატურობა“ რჩება რთულად დასადგენ ელემენტად. ამასთან, გარკვეული სამედიცინო მომსახურების გაწევა და მკურნალობის დანიშვნა ავტომატურად ვერ მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ სამედიცინო დახმარება იყო ადეკვატური.[15] საკითხის შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს ტესტით, გამოიჩინა თუ არა სახელმწიფომ სათანადო გულისხმიერება, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ მძიმე ავადმყოფი პატიმრის განკურნების ვალდებულების შესრულება განისაზღვრება მიღებული ზომით და არა დამდგარი შედეგით.[16] ასევე, სასამართლო მიუთითებს, რომ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისმა უწყებებმა უნდა გაატარონ აუცილებელი ღონისძიებები.[17]

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევას გამოიწვევს ისეთი შემთხვევების არსებობა, როდესაც რელევანტურმა შიდა ეროვნულმა უწყებებმა დროულად და ამომწურავად არ გადადგეს ყველა გონივრული შესაძლო ნაბიჯი და არ გამოიყენეს ყველა კეთილსინდისიერი სამედიცინო გზა პაციენტის განსაკურნებლად.[18]

პენიტენციური კოდექსის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო მომსახურებით.[19] ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ისარგებლოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით. საჭიროების შემთხვევაში ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პენიტენციურ დაწესებულებაში ნებადართული სამკურნალო საშუალებები.[20] ბრალდებულს/მსჯავრდებულს სამედიცინო მომსახურება გაეწევა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქვეყანაში დადგენილი სამედიცინო მომსახურების მოთხოვნების შესაბამისად.[21]

„პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის თანახმად, თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა მომწოდებლისგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.[22] ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირი სარგებლობს ამ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით.[23]

დასკვნა

მოცემული საქმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მიუხედავად ამ დრომდე გაწეული სამედიცინო მომსახურებისა, მსჯავრდებულ[redacted] ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა და ზუსტი დიაგნოზის და მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის დასადგენად პაციენტი საჭიროებს ხერხემლის სვეტის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიული კვლევის ჩატარებას და ნეიროქირურგის კონსულტაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით, მსჯავრდებულ [redacted] შემჭიდროვებულ ვადებში ჩაუტარდეს მაგნიტურ რეზონანსული კვლევა და ნეიროქირურგის კონსულტაცია.

რეკომენდაციის განხილვის შედეგების, გატარებული ღონისძიებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

[1] საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ მსჯავრდებულთან შეხვედრის დროს შედგენილი გასაუბრების ოქმი [redacted].

[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 17 დეკემბრის [redacted] წერილი.

[3] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2024 წლის 23 დეკემბრის [redacted] წერილი.

[4] საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ მსჯავრდებულთან შეხვედრის დროს შედგენილი გასაუბრების ოქმი [redacted]

[5] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 6 მარტის [redacted] ერილი.

[6] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2025 წლის 13 მარტის [redacted] ერილი.

[7] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 28, ნაწ. 1.

[8] იქვე, ნაწ. 2.

[9] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, პარაგრაფი 40.2.

[10] იქვე, პარაგრაფი 40.2 - 40.5.

[11] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Jashi v. Georgia, 2013, N10799/06 § 66.

[12] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Bujak v. Poland, 2017, 686/12, § 68.

[13] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Naumenko v. Ukraine, 2004, 42023/98, § 112 და Dzieciak v. Poland, 2008, 77766/01, § 91.

[14] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Taïs v. France, 2006, 39922/03, § 98 და Huylu v. Turkey, 2006, 52955/99, § 58.

[15] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Hummatov v. Azerbaijan, 2007, 9852/03, § 116.

[16] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Goginashvili v. Georgia, 2011, 47729/08, §71.

[17] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Holomiov v. Moldova, 2006, 30649/05, § 117.

[18] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Goginashvili v. Georgia, 2011, 47729/08, § 71.

[19] პენიტენციური კოდექსი, მუხ. 94, ნაწ. 3, ქვეპუნ. „ა.ბ“.

[20] იქვე, მუხ, 96, ნაწ. 1.

[21] იქვე, მუხ, 139, ნაწ. 1.

[22] „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 5.

[23] „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 46.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი